

COVID-19 ეპიდემიის გავლენით გამოწვეული ცვლილებები ოპიოიდებით  
ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამებში - მედპერსონალის მოსაზრებების  
შესწავლა

ავტორი

დესპინე ქოიავა

ხელმძღვანელი

ირმა კირთაძე საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

2020 წელი

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დესპინე ქოიავა

2020 წელი

## აბსტრაქტი

**შესავალი:** საქართველოში ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის (ოჩთ) პროგრამამ ფუნქციონირება დაიწყო 2004 წელს. 2018 წელს ოჩთ-ში ჩართული იყო 12179 პირი. აქედან მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართული იყო სულ 8258, ხოლო სუბოქსონის პროგრამაში 3921 პირი. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგადად მკურნალობაში ჩართულ პირთა მატება შეინიშნება.

საქართველოში კორონავირუსის პირველი დადასტურებული შემთხვევა 26 თებერვალს დაფიქსირდა. 21 მარტს ქვეყანაში ერთი თვით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები, ადამიანების გადაადგილებისა და თავყრილობის შესახებ.

შედეგად COVID-19 პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა განაპირობა გარკვეული ცვლილებების განხორციელება ჩანაცვლებითი მკურნალობის სერვისებში. კერძოდ 2020 წლის 19 მარტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოცემულმა ბრძანებამ, #01/27/ნ, რომელსაც დაემატა მე-13 პუნქტი რომლითაც განისაზღვრა ჩანაცვლებითი პროგრამის სამკურნალო საშუალების სტანდარტული დოზის ბინაზე გატანების წესი.

**კვლევის მიზანი:** მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეაფასოს ოჩთ-ზე COVID-19 ეპიდემიის გავრცელებით განპირობებული გამოწვევები, რა ცვლილებები იქნა მიღებული და როგორ დაინერგა სიახლეები ოჩთ-ში; ასევე ნაშრომში განხილულია ახლადდანიერგილი ცვლილებების პრაქტიკული შეფასება მედპერსონალისა და ხელმძღვანელების მხრიდან, თუ რა სირთულეებს წააწყდა, ან პირიქით, გაუიოლდა თუ არა მედპერსონალს მუშაობა ეპიდემიის გამო დანიერგილი ცვლილებების პირობებში.

**კვლევის მეთოდი:** კვლევისთვის შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი, დაიგეგმა ჩაღრმავებული ინტერვიუები თბილისის და ბათუმის მეთადონის და ბუპრენორფინის და ფოთის მეთადონის ჩანაცვლებითი ცენტრების ხელმძღვანელებთან, ექიმებთან, ექთნებთან და ფსიქოლოგებთან. კვლევა განხორციელდა დისტანციურად, სატელეფონო ზარების მეშვეობით, რომელიც

ჩაიწერა “CALL RECORDER” აპლიკაციით შემდგომი ტრანსკრიპტებისთვის. მონაცემები დამუშავდა თვისებრივი კვლევების ანალიზისთვის არსებულ პროგრამაში Nvivo v10-ში.

**შედეგები:** როგორც აღნიშნული კვლევიდან ჩანს საქართველოში ოჩთ პროგრამებში ბენეფიციარებისთვის პრეპარატის ბინაზე გატანების პრაქტიკა მხოლოდ რიგ გამონაკლის შემთხვევებში არსებობდა, ხოლო პანდემიის შედეგად დანერგილი ცვლილება ყველასთვის მოულოდნელი იყო. ცვლილებას ახლდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ფაქტორები. ცვლილების დადებითი მხარე ძირითადად იყო შავ ბაზარზე ნარკოტიკული საშუალებების ხელმისაწვდომობის შემცირების შედეგად ბენეფიციარების მომართვიანობის მატება ოჩთ-ში, მათ შორის ქალი წამალდამოკიდებულებისაც. უარყოფით მხარეებში გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ მოხდა ბენეფიციარების სტაბილური მდგომარეობის უეცარი ცვლილება. გამოიკვეთა ფსიქოლოგების სამუშაო პროცესის შეფერხება და შედეგებმა აჩვენა, რომ მათ ფაქტიურად ვერ უზრუნველყვეს კრიზისულ ვითარებებში უწყვეტი მომსახურება ბენეფიციარებისთვის. რესპონდენტები ისურვებდნენ, რომ სამომავლოდ მსგავსი ცვლილება კონკრეტული ცენტრის მიერ უნიფიცირებულად იქნეს მიღებული.

**დასკვნა:** კვლევა მხოლოდ 2 კვირის განმავლობაში, 22 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით ტარდებოდა. ინტერვიუები განხორციელდა მხოლოდ სატელეფონო ზარების მეშვეობით, რადგანაც შეზღუდული იყო გადაადგილება. ვინაიდან ცვლილება დაახლოებით ერთი თვის მიღებული იყო, კვლევის შედეგებში მკვეთრად არ გამოიკვეთა მისი თანმხლები უარყოფითი და დადებითი ეფექტები. რესპონდენტების თქმით, მედპერსონალიც და ბენეფიციარებიც ჯერ კიდევ ცვლილებასთან ადაპტაციას გადიოდნენ.

**საკვანძო სიტყვები:** ცვლილება, ბრძანება, პაციენტი, ჩანაცვლებითი მკურნალობა, დოზა.

## **Abstract:**

**Introduction:** Opioid Substitution Therapy (OST) program was launched in 2004 in Georgia. In 2018, 12 179 people were involved in the program. Among them, 8258 people were involved in the Methadone Replacement Therapy and 3921 people– in the Suboxone Program. It should be noted that an increased number of people involved in the treatment is observed.

The first confirmed case of coronavirus in Georgia was reported on February 26. On March 21, a state of emergency was declared for a month period, and a number of restrictions were imposed on the movement and gathering.

The imposed restrictions resulted by the COVID-19 pandemic, led to the certain changes in the substitution treatment services. In particular, the amendment was made in the decree of the Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs #01/27/N and the paragraph 13 was added to it in March 19, 2020. It defined the rule of at-home treatment with the standard dose of replacement program treatment (Legislative Herald Georgia, 2020).

**Aim of the research:** The aim of the master thesis is to assess the challenges to Opioid Substitute Therapy Program induced by the spread of the COVID-19 epidemic; what changes have been made and how new approaches have been introduced in the program. The paper also discusses the practical assessments of the newly introduced changes by the medical staff and heads of the centers; what difficulties they encountered, or, whether medical staff's work became easier under the new conditions introduced due to the epidemic.

**Research method:** The research was conducted using qualitative research method. In particular, in-depth interviews were held with the heads, doctors, nurses and psychologists of Tbilisi and Batumi Methadone and Buprenorphine Substitution Centers, and Poti Methadone Substitution Center.

The survey was conducted remotely via phone calls and was recorded by the CALL RECORDER app for further making transcripts. The data were processed in the program for qualitative research analysis - Nvivo v10.

**Research Results:** The research shows, that the practice of taking the medication at home by the beneficiaries of the OST programs existed only in a few exceptional cases, and the changes introduced due to the pandemic was unexpected to everyone. These changes resulted both, positive and negative effects. The positive side was an increased number of beneficiaries, including females, addressing to the OST centers that was resulted due to the reduced access to the drugs on the black markets. The negative fact was a sudden change in the beneficiaries' stable conditions. The psychologists' working process was delayed and the research results have shown that they were unable to provide uninterrupted services to beneficiaries in the crisis situation. According to respondents, they would like such changes to be coordinated by a particular center in future.

**Conclusion:** The study was being conducted within two weeks, from April 22 to May 5. Interviews were conducted only by phone calls due to the movement restrictions. Since the amendments had been introduced about one month before, the research result did not clearly show accompanying positive and negative effects. According the medical staff and beneficiaries, they were still in the process of adapting to the changes.

**Key works:** amendment, decree, patient, substitution treatment, dose.

## მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, ირმა კირთაძეს, კვლევის პროცესში გაწეული თითოეული რეკომენდაციისთვის და დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით თითოეულ რესპონდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის განხორციელება. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით იმ რესპონდენტებს, რომლებიც დამეხმარნენ სხვა რესპონდენტების მოძიებაში.